# საქართველოს რესპუბლიკა

წელიწადი პირველი

ფასი 40 კაპ.

საქართველოს მთავრობის მოამბე

ყოველდღიური გაზეთი

№ 20 — კვირა, 18 აგვისტო 1918 წ. — № 20



მთავრობის მოამბე ყოველდღიური გაზეთი
(ოფიციალური და არა ოფიციალური განყოფილებით)

## „საქართველოს რესპუბლიკა“

ღირს ერთი თვით 10 მ., ცალკე ნომერი ყველგან 40 კაპ.

სავალდებულო განცხადებანი დადგენილი ნიხრით, კერძო განცხადებანი შეთანხმებით.

გაზეთზე ხელის მოწერა მიიღება დილის 10—3 საათამდე.

(ბარონის ქუჩა № 6, ტელეფონი—1—82.



## განცხადება

თანახმად ბ. ფინანსთა და ვაჭრობა-მრეწველობის მინისტრის ამხანაგის 12 აგვისტოს 1918 წ. დამტკიცებულ მოხსენებისა დროებით გადიდებულია გადასახადი საწონთა და საწყორთა გასინჯვისა და ოქრო—ვერცხლზედ პრობის დასმისათვის. გადიდებული გადასახადი შევა მალაში დღიდან ამა გამოცხადებისა საქართველოს მთავრობის ოფიციალურ ორგანოში.

მინისტრის რწმუნებული დასაპრობ სამმართველოსა და საწონ-საწყორთა პალატაში ინჟენერი ივ. ყიფშიძე. (3—3)

## ოზურგეთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა წლის პირველ სექტემბრიდან საჭიროა ქალაქის აფთიაქისთვის გამგე-პროვიზორი. ჯამაგირი თვეში 500 მანეთი.
მისამართი: ქ. ოზურგეთი ქალაქის გამგეობას. (5--2)

## გამგეობა
### თბილისის საქალაქო გამსესხებელი საზოგადოებისა

წესდების § 69 თანახმად იწვევს რწმუნებულთა საგანგებო კრებას ამა წლის 1 სექტემბერს, (ახალი სტილით) დღის 11 საათზე, საზოგადოების შენობაში, პუშკინის ქუჩა, საკუთარი სახლი. კრების საგნები: 1. ვადების დანიშვნა და გამორკვევა რწმუნებულთა საარჩევნო წეს.-რიგის მომავალი სამ. წლისათვის. 2. განხილვა და დამტკიცება დამატებითი ხარჯთა აღრიცხვისა მიმდინარე 1918 წლისათვის. გამგეობა თბილისის გამსესხებელი საზოგადოებისა

## კახეთის რკინის გზის
### პირველი უბნის უფროსი

ამით აცხადებს, რომ მარიამობისთვის 24-ს დანიშნულია მეორე საჯარო შეჯიბრება სამუშაოს გაცემაზე, რომელიც შესდგება შემდეგიდან: სადგურ ნავთლუღის წყალსადენის საქაჩავთან ქვიტკირის კედლის აშენება. განცხადებები მიიღება პირველი უბნის უფროსის კანტორაში (Кирочная, 32). მარიამობისთვის 24-ს დღის 1 საათამდის. აქვე შეიძლება ყოველივე დაწვრილებითი ცნობების მიღება.

## თბილისის კონსერვატორია.

მისაღები გამოცდები დაიწყება 10 სექტემბრიდან. თხოვნების მიღება კონსერვატორიის კანცელარიაში (გრიბოედოვის ქ., № 8) ორშაბათობით და ხუთშაბათობით დილის 11—1 საათამდე. სწავლის ფასი სიმღერის კლასებში 350 მან. წელიწადში, დანარჩენ კლასებში 300 მან. სწავლის ფასი გადახდება ნახევარის წლობით. სწავლა დაიწყება 20 სექტემბერს. 6—1

## თბილ. ქართველ ვაჭარ-მრეწველთა

კრება, რომელიც 18 აგვისტოსთვის იყო დანიშნული, გადადებულია. სხვა დროისათვის დღე და ადგილი კრებისა ცალკე იქნება გამოცხადებული.


## ოფიციალური განყოფილება

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სამხედრო მინისტრისა.

№

1. კავკასიის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოებას დღეიდან ერქმევა „საქართველოს რესპუბლიკის ოფიცერთა საეკონომიო საზოგადოება“.

2. ნაწილების და სალაშქრო დაწესებულებების უფროსებს ევალებათ ყველა ოფიცრებს და მოხელეთ გააცნონ საზოგადოების მიზანი და ხელი შეუწყონ მათი წევრებათ ჩაწერას.

3. დამთვალიერებელი კომიტეტი ყოფილ კავკასიის ოფიცერთა საზოგადოებისა ამიერიდან გაუქმებულად ითვლება და მის მაგიერათ იქნება მთავრობის კომისია. საზოგადოების გამგეობამ უნდა განაგრძოს თავის მოვალეობის შესრულება სანამ ახალი არჩევნები დამტკიცდებოდეს.

4. მთავრობის სარევიზიო კომისია გამგეობასთან ერთად ეხლავე შეუდგება საზოგადოების წესდების გადათვალიერებას მისი გადამუშავების მიზნით შეცვლილ პირობების მიხედვით. წესდების გადათვალიერების დროს არ უნდა იქმნეს დარღვეული უფლებები და ქონებრივი ინტერესები იმ წევრთა, რომლებიც რესპუბლიკის ჯარში არ არიან.

სამხედრო მინისტრი **გიორგაძე.**

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობის სასურსათო საქმის და გზათა სამინისტროსი.

12 აგვისტო 1918 წ.

№ 8.

ამა წლის 12 აგვისტოდან ს. მ. ა ს ა თ ი ა ნ ს ვნიშნავ ჩემს რწმუნებულათ, სასურსათო სამინისტროში და ვავალებ დაუყონებლივ შეუდგეს ხორცის, თივის, ბზის და სხვა ამგვარი სურსათის დასამზადებლათ ორგანიზაციების მოწყობას. აგრეთვე გამოსძებნოს საშუალება რაც შეიძლება მოკლე ხანში იყოს მოწესრიგებული საზღვარ-გარეთიდან მიღება ყველა იმ სურსათისა, რომელიც ჩვენს ბაზარზე არ მოიპოება.

ამისათვის ვანიჭებ ს. მ. ასათიანს სრულ უფლებას და ვუბრძანებ ყველა იმ პირთ, რომლებსაც რაიმე დამოკიდებულება აქვთ ამგვარ საქმესთან, გაუწიონ ჩემს რწმუნებულს ს. მ. ასათიანს ყოველგვარი დახმარება. საქართველოს რესპუბლიკის მცხოვრებნი, რომ რაც შეიძლება ადრე იქმნენ დაკმაყოფილებული ზემოხსენებული სურსათის მხრივ, ს. მ. ასათიანს ევალება მოკლე ხანში წარმომიდგინოს მოხსენება თავის მოქმედების და ამ სფეროში მომხდარ სასურველ ცვლილებების შესახებ.

სასურსათო საქმის და გზათა მინისტრი ი ვ. ლ ო რ თ ქ ი ფ ა ნ ი ძ ე.

სამინისტროს მდივანი ვ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე.

№ 11.

12 აგვისტო 1918 წ.

ამა წლის 12 აგვისტოდან ს ო ლ ო მ ო ნ ი ვ ა ნ ე ს ძ ე ა დ ა ნ ა ი ა ინიშნება დროებით სასურსათო საქმის სამინისტროს მიმწოდებელ განყოფილების უფროსის მოვალეობის ასასრულებლად.

სასურსათო საქმის და გზათა მინისტრის ამხანაგი ს ა ბ ა შ ვ ი ლ ი.

სამინისტროს მდივანი ვლ. გ ა ჩ ე ჩ ი ლ ა ძ ე.

### ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობისა მიწათ-მოქმედების სამინისტროსი

14 აგვისტო, 1918 წ. ქ. თბილისი.

№ 28.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ა: მიძინების ორ-კლასიანი სასწავლებლის გამგე გერასიმე ლავრენტის ძე ქიქოძე მიწათ-მოქმედების სამინისტროს სამეურნეო ნაწილის გამგეთ და ამავე სამინისტროს შენობის ზედამხედველად, 1 აგვისტოდან 1918 წ.

№ 27.

დ ა თ ხ ო ვ ნ ი ლ ი ა: თანამდებობის გაუქმების გამო საქარის ბაღის, ამერიკული ვაზების ასისტენტი პ. ვ. სახაროვი 1 ივნისიდან 1918 წ.

გ ა დ ა ყ ვ ა ნ ი ლ ი ა: ყარაიაზის საცდელ მინდვრის საქმეთა მოანგარიშედ კ უ პ ი რ ე ვ ი რეგისტრატორის თანამდებობაზე სასოფლო მეურნეობის ინსპექტორის კანცელიარიაში.

1 ივლისიდან 1918 წ.

მიწათ-მოქმედების მინისტრის მაგიერ პ. გ ე ლ ე ი შ ვ ი ლ ი.

## არა ოფიციალური განყოფილება

თბილისი, 18 აგვისტო.

„Въ наши дни утраченъ стыдъ слова“... ეს სიტყვები გვაგონდება, როცა დღევანდელი „კომუნისტური“ რუსეთის მესვეურის ლენინის გამოსვლას ვუკვირდებით საბჭოთა უკანასკნელ ყრილობაზე.

ჯერ ყუ[...] და სამარცხვინო ზავის გასამართლებლად და დემოკრატიის თვალის ასახვევად გამოიგონა „სულის მოთქმის“ თეორია.

მართალია სამარცხვინო ზავს ვაწერთ ხელს, მაგრამ ამას იმიტომ ვშვებით, რომ დრო მოვიგოთ, „თუნდ სულ რამოდენიმე დღით“ სული მოვითქვათ და ისევ გავუმკლავდეთ ახლა დროებით გამარჯვებულ გერმანიასო. ასე უსირცხვილოდ ატყუებდა ლენინი თავის თავს და მთელს „საბჭოთა ფედერატიულ რესპუბლიკას“.

დღეს ბავშვიც-კი მიხვდება, რომ მთელი სულის მოთქმის თეორია საქციელ წამხდარი ადამიანის უშინაარსო სიტყვების უშინაარსო ხუხულა გამოდგა.

ტილზიტის ზავით დაიწყო გერმანიის სასიცოცხლო ძალთა გამოღვიძება და შეკავშირება. ამას მოჰყვა მთელი ქვეყნის მირონცხებულთა დახმარებით გერმანიის ნაპოლეონის ბატონობისაგან განთავისუფლება. ბოლშევიკური ტილზიტის—ბრესტ-ლიტოვსკის ზავით-კი იწყება რუსეთის სახელმწიფოებრივობის საბოლოო დაშლა და ძალთა შეკავშირების მაგიერ მთელი პოლიტიკური სხეულის ყოველმხრივი გახრწნა.

რუსეთი დაირღვა. ერთიანი დემოკრატიის ხმა მიწყდა. იქ შიმშილი, რბევა, სისხლის ღვრაა გაბატონებული. იქ საყოველთაო ომი და საზოგადოებრივი ურთიერთობის დაშლა, სოციალური დავრდომილება გამეფებული. იქ ძალლი პატრონს ველარ სცნობს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

და აი ამ დროს გამოდის „კომუნისტური" რუსეთის ბელადი ლენინი და წარბშეუხრელად აცხადებს: ძალიან წინ წავედით სოციალიზმის განხორციელების საქმეში, გავიმარჯვეთო.

სად გაჰქრა სიტყვა სირცხვილეული?

ახლა რუსეთი, რომელიც გერმანიის ბატონობის გავლენის ემორჩილება, ასპარეზი გახდა ომის ორ კოალიციას შორის.

თვით რუსეთიც ორათ გაიყო. ორივე ნახევარი ცალ-ცალკე მიდის, თავ-თავის კოალიციას უკავშირდება და ამ ნაირად ფიქრობს თავის საკუთარი მიზნების განხორციელებას.

უნდა ითქვას, რომ ბოლშევიკები ამ ბრძოლაში გერმანიასთან არიან. ასე განსახიერდა ლენინის სულის მოთქმის თეორია!

აქეთკენ გადიხარნენ რუსეთის რეაქციონერები, რომელთაც დარი დაუდგათ მონარქიული წესწყობილების აღდგენისათვის.

შეიცვალა გერმანიის სასარგებლოდ კადეტების ორიენტაციაც. ცნობილმა ბარონ ნოლდემ განუცხადა ამას წინად Vossiche Zeitung-ის თანამშრომელს— ჩვენმა ყოფილმა მოკავშირეებმა რუსის ტერორისტებთან დაიკავეს აშკარა კავშირი, ჩვენ იძულებული ვართ მათ ჩამოვცილდეთო. მას იმედი აქვს, რომ ოქტომბრისტებიც კადეტებს მიემხრობიან ორიენტაციის გამოცვლის საკითხში.

ბოლშევიკების შინაური პოლიტიკაც ისე დამარცხდა, როგორც საგარეო პოლიტიკა. დღეს მათი ბატონობა მხოლოდ მოჩვენებითია და საათობით არის მოლოდნელი ამ მოჩვენებითი ბრძანებლობის გაქრობაც. მათ რომ პოლიტიკური სინიდისი და მოქალაქობრივი გამბედაობა შესწევდეთ, ერთს წუთსაც აღარ უნდა მოეცადათ მართვა-გამგეობის სათავეში.

* * *

ისინი დაეცემიან, ისინი წავლენ, მაგრამ ვინ შესცვლის მათ? ვინ იქნება მათი მემკვიდრე? ვის ხელში გადავა რუსეთის შინაური მმართველობის სვე-ბედი?

აი მეტად დამაფიქრებელი კითხვა, რომელსაც დიდი არსებითი მნიშვნელობა აქვს ჩვენი რესპუბლიკის საერთაშორისო მდგომარეობისთვის.

სამწუხაროთ, რუსეთის დემოკრატია იმდენათ განადგურებული, იმდენათ დაშლილია დღეს დღეობით, რომ მის ხელში ძალა-უფლების გადასვლაზე ფიქრი სრულიად უნიადაგოა.

რუსეთის დემოკრატია არ მოკვდება. ცხადია ის გაერთიანდება და წელში გამართული წამოაყენებს თავის ჯერ განუხორციელებელ პროგრამას. მაგრამ ეს იქნება შემდეგ.

დღეს კი რუსეთის ცხოვრების მისარქმელად ძველ მემარჯვენეებთან ერთად ემზადება მონარქიული და კადეტური ბურჟუაზია.

ბ. მილიუკოვი ტყვილა არ უახლოვდება გერმანიას. ის ფიქრობს ბოლშევიკების დამარცხებას და თანდათან რუსეთის დიდმპყრობელობის აღდგენას.

ცხადია, რუსეთის ბურჟუაზიის მესვეურებს დიდპყრობელობის აღდგენის გეგმაში საერთოდ ყველა განთავისუფლებული ერი და კერძოდ საქართველოც შეჰყავთ.

ეს გარემოება ყოველთვის უნდა ახსოვდეს საქართველოს რესპუბლიკას. ის უნდა ცდილობდეს ისეთი საერთაშორისო პოლიტიკის წარმოებას, რომელიც საშუალებას მისცემს საბოლოოთ გაუსხლტეს აღდგენილ რუსეთის რეაქციონურ მოხვევას და ყოველ-შემთხვევაში დაიცავს მისი დამოუკიდებლობის და თავისუფლების მუდმივ ხელუხლებლობას.

თუ როგორ იმოქმედებს საერთაშორისო იმპერიალისტური ომი და დიადი „ორთა ბრძოლა" რუსეთის შინაურ ძალთა განწყობილებაზე, ეს ცალკე საკითხია, რომელსაც შემდეგ შევეხებით.

# ეროვნული საბჭო

## მკათათვის 30-ს სხდომა მე-25-თე.

(გ. ვეშაპელი. ძალიან ბევრი). სცდებით. ისინი ყველგან ჩვენს პოლიტიკას, ქართულ პოლიტიკას აწარმოებენ. ჩვენს სამინისტროს სათავეში უდგანან (ვეშაპელი. გოლდმანი) ქართველები, ჩვენ ვაწარმოებთ ქართულ პოლიტიკას. გოლდმანი კი ხომერიკის და ერაძის პოლიტიკას. ჩვენი წარმომალგენლები ქიათურაში მოქმედებენ ჩვენი დირექტივების თანახმად, მათ ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამთ ჩვენს თაუკითხავად. ჩვენ ყოველ ცისმარე დღე ვიდექით აპარატთან და ყოველ საკითხზე ვაწვდიდით დირექტივებს.

აქა სთქვეს, რომ ხელშეკრულების დაუდებლობაში ბრალი მიუძღვის იმ გარემოებას, რომ თვით შრომის სამინისტროს წარმომადგენლები იმის მაგიერ, რომ საქმე გაერიგებინათ, ბოლშევიკურ ტენდენციებს ატარებდენ თავიანთ სიტყვებში და მუშებს რევდენო. მე უნდა მოგახსენოთ, რომ ბოლშევიკურ ტენდენციების ბრალი კი არაა, რომ ხელშეკრულება არ იქმნა დადებული, არამედ იმ კაპიტალისტების, იმ მწარმოებლების, რომლის მხრის დამქერადაც აქ გამოდიხართ. თუ ვინმე უშლის ხელს წარმოების განახლებას ეს ის მცირე ჯგუფია კაპიტალისტებისა, რომლებიც ყოვლად მიუღებელ პირობებს უყენებენ მუშებს.

მუშათა წარმომადგენლებმა აშკარად განაცხადეს, რომ ისინი წარმოების აყვავებაში დაინტერესებულნი არიან, რადგან ეს შეეფერება ჩვენს შორეულ მიზანსაც კი—სოციალიზმის განხორციელებას.

მრუდე გზით თვით კაპიტალისტები შეხვდენ მუშათა სურვილებს. აქ განაცხადეს, რომ გეგეჭკორის მიერ იანვარში გამოცემული დეკრეტი, რომლითაც დაწესდა მუშების დათხოვნისა და მიღების პირობები—დღეს უკვე უვარგისიაო.

რაში გამოიხატება ამ დეკრეტის უვარგისობა? ეს დეკრეტი უფლებას ანიჭებს შრომის სამინისტროს, რომ თითონ დანიშნოს ამა თუ იმ დაწესებულებაში ისინი, ვინც ადმინისტრატიულ როლს ასრულებენ. ეს კანონი ხელს უშლის წარმოების პატრონებს თვითონ მიიღონ ინჟინრები, ვესოვშჩიკები და საზოგადოდ ისინი, ვინც ადმინისტრატიულ როლს ასრულებენ. ეს განმარტება თქვენთვის საჭიროა. თქვენ უნდა გაეცნოთ ამას, თქვენ უნდა წაიკითხოთ (გ. ვეშაპელი. „ბორბაში" ბეჭდავთ) დიახ, ესენი უნდა იყვნენ ჩვენს გამგეობაში. ჩვენ უნდა მივიღოთ, ჩვენ უნდა დავითხოვოთ. ჩვენ ვებრძვით იმ ბოროტ-მოქმედებას, იმ ბოროტ ზრახვას, რომლითაც მუდამ სარგებლობდენ მუშების წინააღმდეგ მრეწველები, ინჟინრები და სხვები. ბოროტმოქმედებაა, რომ სამსახურზე მიღების გამო ქრთამი აიღო, ბოროტმოქმედებაა, რომ ვინც გინდა და როდესაც გსურს მაშინ დაითხოვოთ მუშა.

შეიძლება თქვენ ეს ბოროტება დაიცვათ, როგორც ძველ-წესწყობილების მოტრფიალენი, მაგრამ ნუ თუ თქვენ დაიცავთ იმ ბოროტებასაც, რასაც სჩადიოდენ კაპიტალისტები ქალების მიმართ. ჩვენ არ შეგვიძლიან მუშათა ორგანიზაციები ბოროტების დამცველად გადავაქციოთ. ხოლო თუ ადმინისტრატიულ როლების პირებს ჩვენ არ დავნიშნავთ, არ იქნება გარანტია, რომ დღეს მიღებულ მუშას, ხვალ რომელიმე უსაფუძვლო მიზეზით არ დაითხოვენ. აი სწორედ მაშინ მუშათა ორგანიზაცია ბოროტების დამცველად გამოვა. (გ. ვეშაპელი: **программная рѣчь!**) დღეს როგორც ვიცით ჩვენ ასეთ ბოროტებას არ შეურიგდებით და ხელშეკრულების დადებაც არ მოხერხებდა. ამით, რა თქმა უნდა, უმთავრესაად მუშები ზარალდებიან და არა კაპიტალისტები. იმათ აუარებელი მარგანეცი უდევთ გასაზიდათ და რაში ენაღვლებათ, თუ უმუშევართა რიცხვი თანდათან გადიდდება. მანამდის ალბად ეს მარგანეცი საზღვარ გარედ იქნება გაზიდული, და შეიძლება კაპიტალისტებისათვის შემდეგ დადებული ხელშეკრულება უფრო სასარგებლო იქნება.

ამ დეკრეტის იმ პუნქტის შესახებ, რომელიც იწვევს შეუთანხმებლობას—უნდა მოვხსნათ. ხოლო კანონი არსებობს და დღესვე საჭიროა მისი გადახედვა. როგორც მუშები ისე, შრომის სამინისტრო მომხრეა, რომ დღესვე ეს დეკრეტი გადასინჯულ იქმნას და დაკანონდეს. თქვენმა კაპიტალისტებმა კი ხელზე უმნიშვნელო მიზეზი დაიხვიეს და ამის გამო კოლექტიური ხელშეკრულება არ დასდეს მუშებთან. ჩვენ ამაში ვხედავთ სიბეცეს, რომელიც ჩაიდინეს კაპიტალისტებმა თავიანთ ჯიბისა და პირადი სარგებლობისათვის.

რაც შეეხება ლორთქიფანიძის სიტყვას, რომ ბონების მბეჭდავ ექსპედიციაში რაღაც მომხდარა, ჩვენ ამაზე ჩვენი შეხედულება გვაქვს. შეგიძლიანთ შემოიტანოთ შეკითხვა. მოგახსენებთ პასუხს.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის ფინანსთა მინისტრის ამხანაგს ბ-ნ კანდელაკს.

კ ა ნ დ ე ლ ა კ ი. (ს. დ.) მე აქ გამოვედი არა იმისთვის, რომ დავიცვა რომელიმე მხარე, მე მსურს რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ ბატ. ლორთქიფანიძის სიტყვის შესახებ. ლორთქიფანიძის სიტყვამ ისეთი შთაბეჭდილება მოახდინა. თითქოს იქ სადაც ფულები იბეჭდება, არავითარი წესი არ არის და სრულიად უყურადღებოდ არის მიტოვებული მთავრობის მიერ.

მე უნდა გადაჭრით განვაცხადო, რომ უმთავრესი დებულება, ძირითადი დებულება ლორთქიფანიძის სიტყვისა არ შეეფერება სინამდვილეს. ასევე სინამდვილეს არ შეეფერება მისი სიტყვები კონტროლის შესახებ. არ არის მართალი ის, ვითომც არავის არ შეუძლიან შესვლა ექსპედიციაში.

მე მოგახსენებთ, რომ თუ სურს, თვით იასონ მერაბის-ძეს შეუძლიან მიიღოს კომიტეტისგან ნებართვა, შებრძანდეს ექსპედიციაში და ყველაფერი დაათვალიეროს.

მე რასაკვირველია, არას ვიტყვი მუშათა ავტონომიურად მომქმედ კომიტეტის შესახებ. ასეთი კომიტეტები არსებობენ ყველა საქარხნო დაწესებულებაში. მისი დარჩენა თუ გაუქმება ეს პრინციპიალური საკითხია, რომელიც უნდა გადასწყდეს საზოგადო სასამართლოში. რაც შეეხება იმას, რომ ტაბელშჩიკი წინად არ იყო და შემდეგ იქმნა დანიშნული, რომ ერთი მუშათაგანი საქმეზე მთვრალი მოვიდა, და გამომძიებელმა კომისიამ კი იგი თვის ადგილზე დასტოვა—ჩვენ ამის შესახებ არაფერი არ ვიცით, მაგრამ მთელი არდებულება, რომ არავითარი კონტროლი არ სებობს,—ეს სინამდვილეს არ შეესაბამება. რომ ექსპედიციაში კონტროლი სწარმოებს ყველა მის შესახებ შეგვიძლიან ნათლად გამოვიტანოთ აზრი იქიდანაც, რომ როდესაც ჩვენ გაგვითავდა ემისიის ბეჭდვის უფლება, მაგრამ ფულის ბეჭდვა კვლავ განვაგრძეთ, რადგან უკვე მზად გვქონდა ახალი კანონპროექტი, რომლითაც მთავრობას უნდა მისცემოდა ახალ ონების გამოშვების უფლება.

მათ საჩივარი შეიტანეს სახელმწიფო კონტროლთან თვით მთავრობის სახელზე. და აი როდესაც ისინი ასე იქცევიან, რომ თვით მთავრობასაც კი უწევენ კონტროლს. ჩვენ არა გვაქვს უფლება ვიფიქროთ, რომ მუშებს არ გაუწევენ კონტროლს. აი ეს მიმაჩნია საჭიროდ მეთქვა, რომ გამექარწყლებინა ის შთაბეჭდილება, რომელიც დასტოვა ბ-ნ ლორთქიფანიძის სიტყვებმა, და დამენახვებინა, რომ ამ დაწესებულებებში არსებობს კონტროლი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. სიტყვა ეკუთვნის მომხსენებელს.

ბ ა დ რ ი ძ ე. (ს. დ.) მე ვფიქრობ თვით კანონპროექტს არავითარი კამათი არ გამოუწვევია. აქ იყო კამათი შრომის სამინისტროს პოლიტიკის შესახებ აქ დადასტურებულია კანონი.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. საერთო მსჯელობა გათავებულია. ვინ არის წინააღმდეგი გადავიდეთ მუხლობრივ განხილვაზე? არავინ. გთხოვთ წაიკითხოთ პირველი მუხლი.

ბ ა დ რ ი ძ ე. (კითხულობს პირველ მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეორე მუხლი.

ბ ა დ რ ი ძ ე. (კითხულობს მეორე მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის წინაალმეგი? მაშასადამე ეს მუხლიც მიღებული გახლავთ. გთხოვთ წაიკითხოთ მესამე მუხლი.

ბ ა დ რ ი ძ ე. (კითხულობს მესამე მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? ვინ არის წინააღმდეგი? მაშ ეს მუხლიც მიღებულია. გთხოვთ წაიკითხოთ მეოთხე მუხლი.

ბ ა დ რ ი ძ ე. (კითხულობს მეოთხე მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის სურს სიტყვა? ვინ არის წინააღმდეგი? მაშასადამე ეს მუხლი მიღებულია. ეხლა კენჭს უყრი საერთოდ მთელს კანონპროექტს. ვინ არის წინააღმდეგი რომ მთელი კანონპროექტი მიღებულ იქმნეს? მაშასადამე მთლად კანონპროექტი მიღებული გახლავთ და გადაეცემა სარედაქციო კომისიას.

ეხლა გახლავთ: მთავრობის წინადადება დეკრეტის გამოცემის შესახებ, რომლითაც მთავრობას ზოგიერთი ხასიათის დაწესებულებათა ლიკვიდაციის მოხდენის უფლება მიეცემა, მომხსენებელი გახლავთ იესე ბარათაშვილი.

ი ე ს ე ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. (ს. ფ.) მთავრობამ შემოიტანა პროექტი დეკრეტისა. მე ამას ხაზს უსვამ. ეს არის პროექტი დეკრეტის, რომელიც მოითხოვს, რომ მთავრობას მიეცეს უფლება მოახდინოს ზოგიერთ ხასიათის დაწესებულებათა ლიკვიდაცია, და ეს მოთხოვნილება შეიცავს ორ მუხლს.

პირველი მუხლი: მიეცეს მთავრობას ლიკვიდაციის ნება ყველა ჩვენს დაწესებულებათა, რომელნიც საერთოდ იყო რუსეთთან და ამიერ-კავკასიასთან; მეორე: მოხდეს არსებულ დაწესებულებათა რეორგანიზაცია, თანახმად საქართველოს რესპუბლიკის ინტერესებისა. აქედან იბადება მეორე კითხვა ფორმალური და არსებითი.

ფორმალური საკითხი ასეთია: რა გზას უნდა დავადგეთ? შესაძლებელია თუ არა რომ ეროვნულ საბჭომ გამოსცეს დეკრეტი.

ვიდრე გადავსწყვეტთ შევქმნათ თუ არა ასეთი პრეცედენტი ჩვენს პარლამენტში უნდა ანგარიში გაუწიოთ თუ მართლა შესაძლებელია, რამდენად სასურველია, რომ შევქმნათ ასეთი პრეცედენტი, რადგან მას შემდეგ ჩვენს პარლამენტარულ ცხოვრებაში გავლენა ექნება. იურიდიულ კომისიამ იქონია ამის შესახებ მსჯელობა და დაადგინა, რომ სასურველი არ არის გამოვცეთ დეკრეტი.

მაგრამ არსებობს მეორე საკითხიც: მივცეთ თუ არა ჩვენს მთავრობას ნება მოახდინოს ლიკვიდაცია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ შეუძლებელია ლიკვიდაცია ხდებოდეს უკანონო წესით. საქარხნო დაწესებულებათა ლიკვიდაცია ხდება კანონით. რეორგანიზაცია დაწესებულებათა არის შექმნა ან არა და გარდაქმნა ხსენებულ დაწესებულებათა. ეს კი არის მარტოდ მარტო უფლება ეროვნულ საბჭოსი. იურიდიულმა კომისიამ განიხილა ეს საკითხი და მოითხოვა, რომ ერთი კალმის მოსმით მოხდეს ძველ დაწესებულებათა ლიკვიდაცია. შემდეგ თანდათან გადამუშავდეს ეს დეკრეტის კანონპროექტი, მიეცეს მას კანონიერების სახე იმის მიხედვით, თუ რა მოხდება და დასასრულ ერთი თვის შემდეგ შემოტანილ იქნეს ეროვნულ საბჭოში. აი ის ზოგადი მოსაზრებანი, რომლითაც ხელმძღვანელობდა იურიდიული კომისია და რომლის გამოც თითონ შემოიტანა თავის სახელით ეს კანონ-პროექტი. კანონპროექტი შესდგება ოთხი მუხლისაგან.

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. მაშ ჯერ გავიცნოთ მუხლები. გთხოვთ წაიკითხოთ 1 მუხლი.

ი. ბ ა რ ა თ ა შ ვ ი ლ ი. (კითხულობს პირველს მუხლს).

თ ა ვ მ ჯ დ ო მ ა რ ე. ვის ნებავს სიტყვა ამ მუხლის შესახებ? (სიტყვას თხოულობს გრიგოლ ვეშაპელი).

# პრესის მიმოხილვა.

„კავკაზსკოე სლოვოს" ეჭვი ებადება სტამბულის კონფერენციის სასურველ შედეგებში. იგი სწერს:

„წარსულ თვეების დიდიხნის დიპლომატიური მუშაობა ჯერ კიდევ არ დათავებულა, და მასზე იმედების დამყარება, როგორც, აქამდის ვამყარებდით, არ იქნება კეთილგონიერი საქციელი. დიდი მიზეზების და იმედების ზეგავლენით ამიერ კავკასიის რესპუბლიკებად დაყოფილმა ნაწილებმა ნაწილობრივ უკვე ჰპოვეს სათანადო დახმარება, მაგრამ მათი ბედი ჯერ არ გადაწყვეტილა. შექმნილი მდგომარეობა კი არ არის დამაკმაყოფილებელი. ხსნა მხოლოდ ერთშია. საჭიროა საერთო ინტერესების დასაცავად ყველა ღონისძიებათა და რესურსების გაერთიანება. ჩვენ მრავალ ჯერ მოუწოდებდით ამ გზისკენ, მაგრამ ამაოდ. ადერბეიჯანი, როგორც სჩანს არ გადმოუხვევს თავის მიერ არჩეულ გზიდან, იგი იარსებებს საქართველოსა და სომხეთიდან ცალკე. ეს უკვე დიდი მინუსია. ამ მინუსის გამოსწორება კიდევ შეიძლებოდა საქართველოს და სომხეთის შეთანხმებულ მოქმედებით, მაგრამ ამ მხრივაც სასურველად არ მიდის საქმე".

ჩვენ ხშირად გვესმის როგორც გაზეთ „სლოვოს", ისე „ჰორიზონ",—„მშაკის" და „აშხატავორის" ბაგეთაგან, რომ საჭიროა ამიერ კავკასიის მთლიანობა, თუმცა ისინი საქმით და ქადაგებით ამ მთლიანობის საფუძველს არღვევენ. რაც შეეხება ობიექტიურ მდგომარეობას, დღეს ამიერ კავკასიის გაერთიანების იმედი ცოტაა. ეს საკითხი უფრო მომავლის გადასაწყვეტი საკითხია, ოღონდ ახლა ურთიერთ შორის უნდობლობამ არ მოიკიდოს ფეხი ჩვენს რესპუბლიკებს შორის. ჯერ ჯერობით ჩვენ მაინც არ შეგვიძლია ყურადღება სტამბულ ბერლინისკენ არ გვქონდეს მიქცეული. რაც შეეხება საქართველოს და სომხეთის შეუთანხმებლობას, ეს ჩვენი აზრით ასე იქნება მანამდის, სანამ სომხის ერის დღევანდელი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელმძღვანელნი გადაჭრით არ განაცხადებენ, რომ მათი ორიენტაცია და პოლიტიკა რადიკალურად შეცვლილია. წინააღმდეგ შემთხვევაში ყოველივე უმნიშვნელო ცვლილება დასავლეთის ფრონტზე ამა თუ იმ მხარის სასარგებლოდ, ყოველივე ხმები ენზელში დესანტის გადმოსხამაზე და დუევანის აღებაზე მარად აცვლევინებთ პირს და ჰაერს ჰაისტანს. რა თქმა უნდა ასეთ ქარის წისქვილივით მბრუნავ სახელმწიფოებრივ ერთეულთან შეთანხმება საძნელო საქმე იქნება ყველასათვის.

* * *

ეროვნულ დემოკრატების მთავრობისადმი მორიგ შეკითხვის შესახებ „ერთობა“ სწერს:

„ეროვნულ დემოკრატები ამბობენ, რკინის გზის მთავარი კომიტეტი მოსამსახურეების მიღება-დათხოვნის საქმეში ერევა და ამით სახელმწიფოებრივ ფუნქციებს ითვისებენო. უნდა აღვნიშნოთ, რომ დედა აზრი მათი შეკითხვისა სწორია: რკინის გზის კომიტეტი უნდა წარმოადგენდეს პროფესიონალურ ორგანიზაციას და ამ უკანასკნელს, ცხადია, ნება არ უნდა ჰქონდეს სახელმწიფოს მართვა-გამგეობის საქმეში ჩაერიოს: რკინის გზის საადმინისტრაციო პირების დათხოვნა-მიღება რკინის გზების უფროსის და მინისტრის საქმე უნდა იყოს.

მაგრამ განა მარტო რკინის გზების საქმეშია ასეთი მდგომარეობა? აიღეთ ჯარი, სასამართლო, ადმინისტრაცია: არც ერთს დარგში ნორმალური წესი ჯერ არ არის დამყარებული. საჭიროა გვარდიის მაგიერ მოეწყოს რეგულიარული ჯარი და სახალხო მილიცია. შემთხვევით შედგენილ ტრიბუნალების ნაცვლად უნდა მოეწყოს ნაფიც მსაჯულთა სასამართლო და არჩეულ მომრიგებელ მოსამართლეთა ინსტიტუტი; აღმასრულებელ კომიტეტების ადგილი უნდა დაიჭიროს ერობამ და სხვა.

მაგრამ კითხეთ ეროვნულ დემოკრატებს: რა უნდა ვქნათ მანამდე, სანამ ასეთი ნორმალურ ტიპის დაწესებულებები გვექნებოდეს? პასუხი აშკარაა: გვარდია უნდა დაითხოვოთ, აღმასრულებელი კომიტეტები და ტრიბუნალები გარეკოთ და სხვ. მაგრამ როცა ამ დაწესებულებებს გააუქმებთ, საჭიროა თუ არა რამე სამაგიერო დაწესებულება? განა ეროვნულ-დემოკრატებმა არ იციან, რომ გვარდია გვიფარავს შინაურ და გარეშე მტრისაგან? განა არ იციან, რომ ტრიბუნალები, მიუხედავად მრავალ ნაკლისა, მაინც სასამართლოს ფუნქციებს ასრულებენ? ასეა რკინის გზის მთავარ კომიტეტის საქმეც. ამ კომიტეტმა გადაარჩინა დღემდე რკინის გზა სრულს განადგურებას. მანვე ჩქის ?ამთავრობის დავალებით მოსამსახურეების დათხოვნის საქმე შტატების შემცირების გამო. კომიტეტს რომ შეცდომები მოუვიდოდა, ეს ჩვენ გვჯერა—განა არის ვინმე შეუცდომელი ქვეყანაზე,—მაგრამ სხვის უფლებების მითვისებაზე რომ ლაპარაკობენ ეროვნულ-დემოკრატები—ეს არ არის რიგიანობა, რადგან სიმართლეს არ შეიცავს. სხვა და სხვა დარგის კომიტეტების შეცდომას და ზოგიერთ ბოროტმოქმედებას ცხადია, ჩვენც ვაღიარებთ სანამ მათი ადგილი არ დაუჭერია მტკიცე და მუდმივ ორგანოებს, მთავრობამ თვალყური უნდა ადევნოს და კანტროლი უნდა გაუკეთოს მათ მოქმედებას.

## გერმანული პრესა.

ოსმალეთ-ადერბეიჯანის ჯარის მიერ ბაქოს აღების ცნობა მართალი არ გამოდგა. პირიქით, თუ კი გაზეთებში მოთავსებულ ცნობებს დაუჯერებთ, ბაქოს დამცველმა ბალშევიკურმა ძალამ ოსმალეთის და ადერბეიჯანის შეერთებულ ჯარს ბალაჯარისაკენ უკან დაახევია. ამ ცნობებს საზოგადოდ ადგილობრივი გერმანული გაზეთი ეჭვის თვალით უყურებს და შემდეგ გამაფრთხილებელ სიტყვებს სწერს თავის მკითხველის საყურადღებოდ: რადგანაც ამ ჟამად ბაქოსა და თბილის შორის არ არსებობს ნორმალური მიმოსვლა და ცნობების სწორედ გაცვლა-გამოცვლა (ეს შესაძლებელია მაშინ, თუ ორივე მხრით რადიო სტანციები იმუშავებენ),—საჭიროა ყოველგვარ შესწორებებს თუ ცნობების გაბათილებას უფრო მეტი სიფრთხილით შევხვდეთ, ვიდრე ბაქოს აღების ცნობებს. ეს სიფრთხილე ჩვენ ბათომმა გვასწავლა; ოსმალეთის ჯარის მიერ ბათომის აღების შემდეგ კიდევ დიდი ხნის განმავლობაში ცოტათ თუ ბევრად დაბეჯითებით ირწმუნებოდნენ, ვითომ ის არ აეღოს ოსმალოს ჯარს, ხან იმასაც ამბობდენ, რომ უკან დავიბრუნეთო.

* * *

ფილოსოფიის დოქტ. ბ. მარგველაშვილმა „Kaukazische Post“-ის უკანასკნელ № 45-ში საქართველოს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობის შესახებ ვრცელი წერილი მოათავსა. ბ. მარგველაშვილი არჩევს უმთავრესად სოციალ-დემოკრატიულ პარტიის პოლიტიკას და ჩვენ სოციალისტურ მთავრობის მოღვაწეობას. ავტორის აზრით სოციალ-დემოკრატიას დიდი ღვაწლი მიუძღვის არამც თუ მარტო ქართველი ერის, არამედ მთელი ამიერ-კავკასიის ხალხთა წინაშეც, რადგანაც ამ პარტიის პოლიტიკამ გადაარჩინა მთელი ეს მხარე ბალშევიზმის მიერ განადგურებისაგან.

იმ გარემოებაში, რომ ჩვენი სოციალისტური მთავრობა და პარტიები დღითი-დღე უფრო ითვისებენ სახელმწიფოებრივ თვალსაზრისს და ამისდა მიხედვით საჭირო ზომებს იღებენ, ბ. მარგველაშვილი ხედავს უტყუარ თავდებს იმისას, რომ სახელმწიფოს საკეთილდღეოდ თავის დროზე გაკეთდება ყველა ის, რის გაკეთებაც არსებულ პირობებში საზოგადოდ შესაძლებელია.

მეორე მხრით ბ. მარგველაშვილი იმედოვნებს, რომ გერმანია ისე, როგორც დღემდე გაგვიწია მან დიდი დახმარება, შემდეგშიაც კიდევ უფრო შეგვიწყობს ხელს ჩვენი სახელმწიფოს დამყარების და საერთოდ კულტურის განვითარების საქმეში.

## სამშობლოში დაბრუნებულნი.

გუშინ გერმანიიდან თბილისში ჩამოვიდა ტყვეობიდან განთავისუფლებული ორასი ქართველი მეომარი—ჯარისკაცი და აფიცრობა გენ. თოფურიძის მეთაურობით. იმედია, მათ მალე მოჰყვებიან დანარჩენი ქართველი მეომრები, რომლებიც სამი ოთხი წელიწადი ტყვედ იყვნენ უცხოეთში და მხოლოდ დღეს ეღირსებიან უკვე თავისუფალ სამშობლოს ნახვას.

ქართველი ხალხი გულის ფანცქალით მოელოდა თავის მებრძოლ შვილების დაბრუნებას და აი დღეს მას უმართლდება იმედი და ემატება სასოება, რომ მათი დაბრუნება საბედნიერო იქნება ჩვენი სახელმწიფოებრივი ცხოვრების გამტკიცებისათვის.

მათ დასტოვეს საქართველო და მთელი რუსეთი თვითპყრობელობის ორთავიან არწივის კლანჭებში მკვნესარე. ხოლო დახვდათ რუსეთის სახელმწიფო დაშლილი და საქართველო დამოუკიდებელი და განთავისუფლებული.

ჩვენ ღრმათ გვრწამს, რომ ჩვენი შინ დაბრუნებული მეომრები მყისვე მიუხვდებიან გულის წუხილს სამშობლოს და დემოკრატიას, ღირსეულათ შეასრულებენ თავის მოქალაქობრივ და სამხედრო მოვალეობას რესპუბლიკის წინაშე და მთელ თავის ვაჟკაცურ ძალღონეს დასდებენ დამოუკიდებელი დემოკრატიული საქართველოს საკეთილდღეოთ და უზრუნველ საყოფელათ.

გულ მხურვალე სალამს ვუძღვნით სამშობლოში ტყვეობიდან დაბრუნებულთ! თავისუფალი საქართველოს რესპუბლიკა აღსავსე სიყვარულით ჩაიკრავს მათ გულში.

# დეპეშები.

(დეპეშათა სააგენტო)

16 აგვისტო.

მოსკოვი, 14 აგვისტო. (გადმოცემულია მოსკოვის რადიო სადგურიდან ფრანგულ ენაზე) რუსეთის ელჩს იოფეს ბერლინში. თუმცა ინგლის-საფრანგეთის კაპიტალის ყაჩაღები ფეხქვეშ თელავენ ყოველ გვარ უფლებას და სამართლიანობას და ომის გამოუცხადებლად ნელ-ნელა შემოდიან რუსეთში, რომელსაც ყველა ხალხებთან თანხმობა სურს, და თუმცა ეს ბანდები და იმპერიალისტები ხვრეტენ და ატუსაღებენ საბჭოთა რესპუბლიკის სამხედრო წარმომადგენლებს—საბჭოთა მთავრობა მაინც არ უპასუხებს ამ ბარბაროსობაზე ბარბაროსობით. საბჭოთა მთავრობამ გამოაცხადა, რომ შეთანხმების სახელმწიფოთა დიპლომატიურ და საკონსულო წარმომადგენლებს უფლება ექნებათ ბალტიის ზღვით წავიდნენ პეტროგრადიდან სტოკოლმში. სამაგიეროთ ინგლისში მყოფ დიპლომატიურ წარმომადგენლებს და სხვა პირებს, რომლებიც ეკუთვნიან რევოლიუციონურ რუსეთის მოქალაქეებს, ნება მიეცემათ რუსეთში დაბრუნებისა.

ფრანგებს, რომლებიც ეკუთვნიან სამხედრო მისიას, მიეცემათ წამოსვლის უფლება, იმ პირობით, რომ რუს ჯარის კაცებს უფლება მიეცემათ საფრანგეთიდან რუსეთში წასვლისა.

მიუხედავათ საფრთხისა საფრანგეთისა და ინგლისის ბურჟუაზიის წარმომადგენლები გადარჩნენ. აუარებელი ოჯახები ხელ უხლებელი გადარჩა. ჩიჩერინი.

(მიღებულია თბილისის რადიო სადგურით).

კიევი, 14 აგვისტო. უკრაინის ფინანსთა მინისტრმა აცნობა პრესის წარმომადგენლებს, რომ უკრაინამ უნდა აიღოს 500 მილიონი მან. შინაური სესხი. სასურსათო საქმის მინისტრმა აცნობა, რომ უკრაინის მთავრობამ მოკლე ხანში უნდა შეასრულოს თავის ვალდებულება ცენტრალურ სახელმწიფოთა წინაშე. ეს ვალდებულება გამომდინარეობს ბრესტ-ლიტოვსკის ხელშეკრულებიდან.

(მიღებულია თბილისის რადიო სადგურით).

მოსკოვი, კრემლი. ბეჭვდის ბიურო ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან გვატყობინებს 15 აგვისტოდან. ჩეხო-სლოვაკების ფრონტი. აღმოსავლეთის ფრონტი. ალაპაევის მიმართულებით ჩვენმა ნაწილებმა დაიჭირეს სადგ. ანდრაცტი. ტაზელის მიმართულებით მტერი უკან იხევს. ნიკოლაევის მიმართულებით მტერი უკუ ვაქციეთ. ჩვენ ხელთ ვიგდეთ 400 საარტიელერიო ყუმბარები. ჩვენი ნაწილები მიუახლოვდნენ სიმბირსკს. ყველა თავის ფოსტებზეა.

ვოლოგდიდან გვატყობინებენ რომ ინგლის-საფრანგეთის ნაწილების არხანგელსკზე იერიშის დროს დაიღუპნენ საგუბერნიო საადმასრულებლო კომიტეტის წევრები ზანკევიჩი, კუკინი და სხვა. რამოდენიმე დეპუტატები და კომისრები დატუსაღებულია.

ფოსტა-ტელეგრაფის სახალხო კომისარიატის ბრძანება 13 აგვისტოდან. კომისარის ამხანაგი პოდბელსკი მოუწოდებს ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეებს ეხლანდელ პასუხსაგებ მომენტში მედგარ და თავგანწირულ მუშაობისთვის.

„ეხლა,—ამბობს სახალხო კომისარი, ადგილი არ აქვს რყევას. ვინც ჩვენთან არ არის, ის ჩვენს წინააღმდგაა.

სახალხო კომისარს ატყობინებენ ზოგიერთ ფოსტა-ტელეგრაფის მოსამსახურეთა შორის საბოტაჟზე. მუშათა მთავრობა ამიერიდან არ დაუშვებს ასეთს სამწუხარო ფაქტებს. დასასრულ პოდბელსკი მოუწოდებს მოსამსახურეებს შეერთებისკენ.

პროვინციებიდან მოდის ცნობები ახალი მოსავლის შესახებ. მოსავალი ზოგან კარგია.

ხარკოვის პურის მომყვანთა კავშირის კომიტეტმა დაადგინა აცნობოს საოლქო კავშირს პურის მონოპოლიის მაგივრად იქნეს პურის დასამუშავებელი ბეგარა.

ფრონტებზე. ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ბოლშევკურმა ნაწილებმა იერიში მიიტანეს ონეგაზე. არხანგელსკის მიმართულებით მათ ხელთ იგდეს საბუთები, რომლებიც ამტკიცებენ ამ რაიონში ფრანგების მონაწილეობას.

ციურიხი, 10 აგვისტო. ვლადივოსტოკიდან დეპეშით იტყობინებიან, რომ ჩეხო-სლოვაკები კრიტიკულ მდგომარეობაში არიან და ითხოვენ დახმარებას, რადგანაც მათ წინააღდეგ ძლიერი ძალები დგება.

ბერლინი. აგვისტოს 16. დასავლეთის ფრონტი. კრონ-პრინც რუპრეხტის ლაშქარი. კემელსა და ვიებერგინთან მოწინავე რაზმთა ბრძოლაა. ეიეტტთან, ლისის სამხრეთით საარტილერიო ბრძოლაა. ანკრის ჩრდილოეთით მტრის ძლიერი იერიშები მოვიგერიეთ.

ბომეს ლაშქარი. რუანის დასავლეთით და ნუაიონის სამხრეთ-აღმოსავლეთით ძლიერი ბრძოლაა. ლოსინის პირდაპირ ავრის ორივე მხრით მტერს იერიშები მოჰქონდა. ტიეკურის სამხრეთით მტერს დარჩა ატტე. ლასინთან მტერი დამარცხდა. აქ მტერმა 6-ჯერ მოიტანა იერიში, მაგრამ უშედეგოდ.

გერმანელ კრონპრინცის ლაშქარი. ვესლასთან საღამოთი დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ბრძოლამ მთელი ღამე გასტანა.

ვენა. მარიამობისთვის 16. იტალიის ფრონტი. მონტოცკოსთან იტალიელების იერიშებს იმპერატორის პოლკის რაზმელებმა სასტიკი იერიშები აღმოუჩინეს. ტონალთან დღემ წყნარად ჩაიარა. მინტე-მოკთან მტრის იერიშები მოვიგერიეთ.

სტამბული. მარიამობ. 16. მედინის სამხრეთ-დასავლეთით მარიამობისთვის 10-დან ორივ მხრიდან ძლიერმა არტილერიამ იწყო მოქმედება. აგვისტოს 12-ს გათენებისას მტერს დავატოვებინეთ აქამდი მის ხელში მყოფი პოზიციები. მტერმა ბირდევირტისკენ დაიხია დიდის ზარალით.

პარიზი. მარიამობ. 16. გერმანელებმა რუანის დასავლეთით დაიხიეს. ავრის ჩრდილოეთით ფრანგებმა კანადელელებთან ერთად თავიანთი პოზიციები გადაიტანეს კუალენკურ-სენ-მორდენ-ტრიოლ იუკურის ხაზზე. ავრის სამხრეთით ფრანგები ლოჟესის ტყეში შეიჭრნენ.

ბერლინი. მარიამობ. 15. ჰავასის სააგენტოს კორესპოდენტი იტყობინება, რომ გერმანელების ლაშქრის სიმტკიცემ შეაჩერა ფრანგების შეტევა. გერმანელებმა არტილერია მეტად გააძლიერეს.

### უცხოეთი.

უკრაინელ ელჩის დატუსაღება.

მოსკოვს ცნობაა მოსული, რომ ბერლინში დაუტუსაღებიათ უკრაინის ყოფილი ელჩი სევრიუკი საელჩოს დანარჩენ წევრებთან ერთად. ამ დატუსაღებას უკავშირებენ რეიხსტაგში შეიდმანის მიერ შეკითხვის შეტანას, რომელმაც სევრიუკის მიერ გადაცემული მასალით ისარგებლა უკრაინის საქმეების შეკითხვის დროს.

სოციალისტური რეიხსტაგის კომიტეტში.

როგორც ბერლინიდან იუწყებიან სოციალისტი ებერგი რეიხსტაგის მთავარ კომიტეტის თავმჯდომარეთ აირჩიეს.

„მეჯიდიეს“ იარაღის აყრა.

„კავკასკოე სლოვო“ იუწყებ, რომ „ორიზონის“ ცნობით გერმანელმა მთავრობამ ოსმალეთის კრეისერს „მეჯიდიეს“ იარაღი აჰყარა. იარაღის აყრის მიზეზი არ იციან.

რუსული ქაღალდის ფული.

გაზ. „ტიმეს“-ის ანგარიში ბაზარზე გამოშვებული რუსეთის ქაღალდის ფული 44 მილიარდს უდრის.

ამერიკის ლაშქარი.

საფრანგეთის ფრონტზე მყოფ ამერიკის ჯარის რიცხვი, უკანასკნელი ცნობებით, თითქმის ერთ მილიონამდეა. ამათში ორი მესამედი საომრად გაწრთვნილნი არიან.

### ამონაწერი

საქართველოს დემოკრატიულ რესპუბლიკის მთავრობის დადგენილებებიდან.

აფხაზეთის საქმეებთან დაკავშირებულ საკითხების გასარკვევად არჩეულ იქმნას კომისია შედეგ პირთაგან: იუსტ. მინინტრი შ. ალექსი-მესხიშვილი, შინ. საქმეთა მინისტრის ამხან. კ. საბახტარაშვილი, შრომის მინისტრის თანაშემწე გ. ერაძე. ამ კომისიაში შედის ის. რამიშვილიც. კომისიას ევალება იქონიოს მსჯელობა აფხაზეთის საქმეებზე აფხაზეთის სახალხო საბჭოს დელეგაციასთან ერთად და წარმოადგინოს თავისი მოსაზრება ორი დღის განმავლობაში.

—

გაეხსნას სამხედრო მინისტრს გენ. მაზნიაშვილის განკარგულებაში 500,000 მ. კრედიტი, აქედა 300 ათასი მან. სამხედრო საქმეებზე, 200 ათასი მან. დაკავებულ ადგილებში ადმინისტრაციის მოსაწყობად (სამხედრო-მინისტრის ხარჯთ-აღრიცხვა).

—

მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრისა ხოლერის ეპიდემიასთან საბრძოლველად თბილისის საგუბერნიო-სასანიტრო აღმასრულებელ კომისიის 200000 მ. მიცემის შესახებ გადაეცეს თავის აზრის დასასკვნელად სახელმწიფო კონტროლიორს.

—

გაუქმებულ იქმნას ამიერ-კავკასიის განსაკუთრებულ კომიტეტის მიერ 15 ივნისის 1917 წ. შემუშავებული დებულება კავკასიის ფრონტის ლტოლვილთა მოწყობის შესახებ. გაუქმებულ იქმნას აგრეთვე საბჭოს და აღმასრულებ. კომ. კავკ. ფრონტის ლტოლვილთა მოწყობისათვის თავისი რწმუნებულებით და კანცელიარიით. ლტოლვილთა საქმის გამგეობა მიენდოს შინაგან საქმეთა მინისტრს და შინაგან საქმეთა სამინისტროს მიეცეს უფლება ყველა იმ საკითხების გადასაწყვეტად, რომელიც დაკავშირებულია ლტოლვილთა მოწყობასთან. ყველა სათანადო კრედიტები იმყოფებოდეს შინაგან საქმეთა მინისტრის განყოფილებაში.

—

შინ. საქმეთა კანცელარიის ხარჯთ-აღრიცხვა დამტკიცებულ იქმნას. გაეხსნას შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიას 1918 წ. მეორე ნახევრისათვის 93 ათასი მან. ამ ხარჯთა-აღრიცხვის ანგარიშით მიეცეს ხვედრი ჯამაგირი ლაზარეთის № 33 მოსამსახურეთ 3 თვისა და 10 დღის, ხოლო ლიკვიდაცია მოხდეს საერთო წესით.

### განსაკუთრებული რაზმის მოქმედება.

შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ბორჯომში გაიგზავნა განსაკუთრებული რაზმი, რომელმაც აღმოაჩინა რაოდენიმე ათასი მანეთის ყალბი ფული. დაიჭირეს იოსებ თარონაშვილი და მეიერ კაკიტელაშვილი.

ამავე რაზმმა თბილისში აღმოაჩინა ფულის საბეჭდი პრესი და 17 ათასი მანეთის ყალბი ფული. დაიჭირეს იოსებ ბაროს ძე გაბელია, თეოფანე კუჭავა, სამუილ ოშილჩიკი და თარონიშვილის ცოლი. მინისტრის განკარგულებით საქმე გადაეცა გამომძიებელს.

# ახალი ამბები.

### პარლამენტის გარშემო.

○ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ნ. ს. ჩხეიძემ შემდეგი დეპეშა მიიღო ოზურგეთიდან:

საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ გამოცხადების შემდეგ, გურიის სამღვდელოება პირველად შეიკრიბა და შემდეგი დადგენილება გამოიტანა: გურიის სამღვდელოება აღფრთოვანებით ეგებება გმირ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას და ღვთის წინაშე აძლევს ფიცს, რომ ყოველთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ყველაფერში ემსახუროს რესპუბლიკის ინტერესებს და დამოუკიდებელ სახელმწიფოს განმტკიცებას. ეროვნულ საბჭოს უსურვებთ გამარჯვებას შინაურ და გარეულ მტერთან ბრძოლაში და დემოკრატიული სახელმწიფოებრივი დასაბამების გასამაგრებლად. კრების თავმჯდომარე იოანე კაჭეხმაძე.

○ ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარემ ქუთაისიდან მეორე განყოფილების რკინის გზის მოსამსახურეთა რწმუნებულისგან შემდეგი დეპეშა მიიღო:

მეორე განყოფილების რკინის გზის მოსამსახურეებმა კრებაზე დაადგინეს: დაიხუროს ცენტრალური რკინის გზის კომიტეტი და მისი მზგავსი კომიტეტები, რადგანაც მათ მოქმედებას, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, ზარალის მეტი არაფერი მოუტანია. უკანონო მოქმედება ცენტრალურ კომიტეტისა მოსამსახურეთა დათხოვნის და შტატების შემცირების საქმეში დიდ უსიამოვნობას იწვევს მოსამსახურეთა შორის. შეჩარებულ იქმნას კომიტეტის განკარგულება მოსამსახურეთა დათხოვნის შესახებ. რწმუნებულები ლეჟავა და თოთიბაძე.

## მთავრობაში.

○ იუსტიციის მინისტრმა განკარგულება გასცა, რათა დაუყონებლივ დაჭერილ იქნეს თბილისის საქალაქო დუმის ხმოსანი და ქ. თბილისის პროფესიონალურ კავშირების საბჭოს თავმჯდომარე, კალენიკე გოგიბერიძე, რომელსაც ბრალი ედება ქართულ კლუბის მოსამსახურის ჭიჭიკო რუხაძის და პორუჩიკ გაჩეჩილაძის მკვლელობის მოწყობაში, კაპ. სოხაძის და ჯარის-კაცის აკოპიანის დაჭრაში. გაჩეჩილაძის მკვლელობაში თვით გოგიბერიძე აქტიურ მონაწილეობას ღებულობდა. ყველა ეს დანაშაული გოგიბერიძემ ჩაიდინა რომანიულ ნიადგზე.

○ მთავრობის დადგენილებით ოზურგეთის № 33 ლიკვიდაცია უნდა მოხდეს. მსახურთ მიეცემათ სალიკვიდაციო დახმარების სახით ფული.

○ ქალაქის თავის შუამდგომლობა სპირტის რეკვიზიციის შესახებ მთავრობამ არ შეიწყნარა და დაადგინა არავითარ შემთხვევაში ავტომობილებისთვის სპირტი არ იხმარონ.

○ შინაგან საქმეთა სამინისტროს კანცელარიის დირექტორმა გუბერნიის კომისარს აცნობა: საქართველოს სახაზინო გზების მინისტრი იუწყება, რომ სად. სანაინიდან დიდძალი ლტოლვილები მოემგზავრებიან ტფილისისაკენ. კანცელარიის დირექტორი სთხოვს კომისარს მიიღოს სასწრაფო ზომები, რათა აღნიშნული ლტოლვილები არ იქმნენ შემოშვებული ტფილისში, რადგანაც ბინის და სურსათის სიმცირისა გამო ლტოლვილთა შემოშვება ყოვლად შეუძლებელია.

○ შინაგან საქმეთა მინისტრის განცხადების თანახმად იმ პირთ, რომლებიც მსახურებდნენ მთავრობის და საზოგადო დაწესებულებებში და რომლებიც დათხოვნილი არიან შტატების შემცირების გამო სალიკვიდაციო დახმარების მიცემით, 9 აგვისტოდან წინადადება მიეცათ 7 დღის ვადაში დაეტოვებიათ საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორია. რადგან ამ ჟამად, სამხედრო გზაზე მიმოსვლა შეწყდა, შინაგან საქმეთა სამინისტრომ შესაძლებელად სცნო აღნიშნულ განკარგულების სისრულეში მოყვანის შეჩერება განსაკუთრებულ განკარგულებამდე.

○ საქართველოს ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარეს და გზათა მინისტრს წარუდგა რკინის გზის მოსამსახურეთა დელეგაცია ქუთაისიდან, რომელმაც სთხოვა მოსპობილ იქნას ყველა ის არა ნორმალურობა, რომელსაც ადგილი აქვს რკინის გზაზე მოსამსახურეების დათხოვნის და შტატების შემცირების დროს. ეროვნულ საბჭოს თავმჯდომარე და მინისტრი შეჰპირდნენ დელეგაციას საქმის მოწესრიგებას.

## ბოროტმოქმედება.

○ 16 აგვისტოს საღამოს 12 საათზე ელუჯანიანცის ბინიდან ბოროტ-გამზრახველებმა წაიღეს 7 ათასი მანეთი.

○ 16 აგვისტოს საღამოს 9 საათზე სისხლის სამართლის უფროსმა პ. ჩაჩავამ ცნობა მიიღო, რომ აბრამაშვილის სახლში (ვერის დაღმართი № 7) ბოროტგამზრახველები თავდასხმას უპირებდნენ სახლის პატრონ აბრამიშვილს. მილიციის უფროსი ჩაუსაფრდა მილიციონერებით. ერთი განთქმული ყაჩაღი ჩაჩავამ თავის ხელით მოჰკლა, მეორე სტუდენტი ბეზურაშვილი შეიპყრეს.

## „ბოლშევიკური“ მოძრაობა

○ ქუთაისიდან გენ. სუმბათაშვილი სამხედრო მინისტრს დეპეშით აცნობინებს: „ტყვიბულის რაზმმა პოლკოვნიკ ზახარაშვილის მეთაურობით დაამარცხა მოწინააღმდეგე და ბრძოლით წინ მიიწევს. ჩვენმა ნაწილებმა განდევნა მოწინააღმდეგე კვაკუნთისა და თავშავას უღელტეხილიდან და დაიჭირეს ყველა ხიდები და გასასვლელი ადგილები მდინარე რიონისა და დაბა ალპანისა. მზვერავი ნაწილი წინ მიიწევს ბრძოლით. ავიღეთ სოფ. ზაგიში. ჩვენ წამოვიღეთ 1 ტყვიის მფრქვეველი და ტყვეთ წამოვიყვანეთ 6 კაცი. კაიკიში, ცაგერი და სხვა სოფლებიდან დელეგატები მოდიან და მორჩილებას გვიცხადებენ. იმედი გვაქვს რომ ლეჩხუმისა და ხონის რაიონის აჯანყებას მალე მოეღება ბოლო. ჩვენს ხელშია ბუმბუას ხიდი. ჩვენმა ჰაეროპლანებმა გუშინ ჩამოჰყარეს ასაფ.მასალები. სოფლის მცხოვრებლებმა დელეგაცია გამოგზავნეს და თხოულობენ მოლაპარაკებით გაათავონ საქმე. დანარჩენ ფრონტზე ცვლილება არ არის.

## ხოლერა.

○ უკანასკნელ ორ დღეს ქალაქის საავადმყოფოში მოიყვანეს 20 ხოლერიანი და 10 ხოლერის ნიშნებით. სახოლერო განყოფილებაში გადაყვანილია 5. მორჩა და გამოეწერა 13 ხოლერიანი. ორ დღეში გარდაიცვალა 14 ხოლერიანი და 2 ხოლერის ნიშნებით. 16 აგვისტოსთვის იყო 89 ხოლერიანი და 15 ხოლერის ნიშნებით.

## ლექცია.

○ ორშაბათს, 19 აგვისტოს მეორე კომერციულ სასწავლებლის დარბაზში პ. საყვარელიძე წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე: „საქართველოს რესპუბლიკა და მისი დემოკრატია“. ლექცია დაიწყება საღამოს 4 ს.

## სხვა და სხვა ამბები

○ ერთ-ერთ გერმანულ ჟურნალში მოთავსებულია ჩვენი დელეგაცის წევრთა სურათი, ბერლინში ყოფნის დროს. ეს სურათი გერმანულ სხვა ჟურნალებშიაც იყო დაბეჭდილი. იმავე დროს გაზეებში მოთავსებულია საქართველოს ისტორიის მოკლე მიმოხილვა მეცხრამეტე საუკუნემდე, როდესაც რუსეთმა საქართველო პროვინციათ გადააქცია, და აგრეთვე აწერილია თანამედროვე საქართველოს პილიტიკური მდგომარეობა. ამ სურათის კლიშეს ჩვენი გაზეთის ერთ-ერთ ნომერში დავსტამბავთ.

○ სახალხო გვარდიის შტაბის აგენტი გოგიშვილი დეპეშით აცნობინებს ბადიაურიდან გვარდიის შტაბს: „ჩვენს განკარგულებაშია 2,000 შეიარაღებული. გამოგზავნა ჯერ საჭირო არ არის. როცა მუსულმანთა ბრბოებმა მოინდომეს იერიშის მიტანა, ისინი გავფანტეთ. ჩვენი საარტილერიო ცეცხლით. ჯავშნოსანი მატარებლების უფროსის გოგუაძის მედგარმა მუშაობამ მუსულმანებთან მომხდარი კონფლიკტი შესუსტა. ჩვენ მიერ წარდგენილი ულტიმატუმი მიღებულია. მუსულმანთა დელეგატებმა პირობა მოგვცეს 15 აგვისტოს 3 საათზე ჩაგვაბარონ იარაღი, რაც აქვთ. იმედია რომ ყველაფერი დამთავრდება სისხლის დაუღვრელად.

○ გუშინ 13 აგვისტოს გაემგზავრა ალავერდის ქარხანიში სამთო გამგეობის საქმეთა მინისტრის რწმუნებული ინჟ. ი. ა. ყიფშიძე ოქრო—ვერცხლის გადადნობის საკითხის მოსაწყობად ალავერდის მადნებიდან.

○ გერმანიის სამხედრო მისია, რომელიც კავკავში წავიდა საქართველოს სამხედრო გზით, უკანვე დაბრუნდა, რადგანაც ზვავის გამო ვერ შესძლეს წასვლა.

○ საქართველოს საზავო დელეგაციის წევნი ა. ჩხენკელი და ნიკოლაძე, რომელიც სტამბოლში იყვნენ წასული ბერლინში დაბრუნდნენ.

# სახელმწიფო სტამბების შესახებ.

სხვა მემკვიდრეობას გარდა საქართველოს მთავრობას დარჩა რამდენიმე საკმაოდ მოზრდილი და მდიდარი სტამბა. ეს სტამბები ამდენხანს უმთავრესად ემსახურებოდნენ სახელმწიფო დაწესებულებებს, საქმეები სრულდებოდა რუსულად და დღეს, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ, როდესაც ხდება სახელმწიფო დაწესებულებათა ნაციონალიზაცია, მას აღარ შეუძლია შეასრულოს ამ დაწესებულებათა საქმეები, რადგან არ მოეპოვებათ ქართული შრიფტი, ხოლო ამ ხანად შრიფტების ჩამოსხმა მეტად გაძნელებულია. ამას უნდა დაემატოს ის გარემოებაც, რომ რუსული სამუშაოების შემცირების გამო ხდება დათხოვნა რუსი მუშებისა სამი თვისა და კიდევ მეტი სალიკვიდაციო ფულის მიცემით. ამის გამო ეს სტამბები დღეს საშინელ დიდ ხარჯად აწევს მთავრობას. და ეს ასე იქნება, სანამ მთლად არ გადაკეთდება ეს სტამბები და არ მოეწყობა ისე, რომ ქართული საქმეების ასრულებაც შეეძლოს.

ავიღოთ უძველესი სტამბა, ყოფილი ნამესტნიკისა. იგი საკმაოდ მდიდარია სასტამბო მანქანებით თუ მასალებით, მაგრამ მეტად ღარიბი ქართული შრიფტით. აქვს ასოს ჩამოსასხმელიც, მაგრამ სურახანის ნავთის უქონლობის გამო არ მუშაობს. და რომ ქართული განყოფილება მოეწყოს, ამას აუარებელი ფული დასჭირდება.

მეორე არის რკინის გზის სტამბა. იგი მეტად კარგად არის მოწყობილი, ბევრი მანქანები და მასალებიც აქვს, ხოლო ქართული განყოფილება იქაც მეტად ღარიბია. ჯერ-ჯერობით არც არავინ შეცდილა ამ სტამბაში ქართული განყოფილების მოწყობას, შეეძლოთ კი უფრო ადვილათ მოეგვარებიათ საქმე, რადგან სტამბას აქვს საკუთარი ასოს ჩამოსასხმელი და ადვილათ მოხერხდებოდა ასოების ჩამოსხმა.

მესამე არის სამხედრო შტაბის სტამბა. იქ ქართული შრიფტი სულაც არ უნდა იყოს. ხსენებული სტამბაც საკმაოდ მოზრდილია და მდიდარი, მასაც გადაქართულება ესაჭიროება.

არის კიდევ ორი სტამბა—ქალაქთა კავშირისა (ყოფილი მარტიროსიანცისა) და მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოსი (მეტეხის ციხეში). ეს სტამბებიც ამ მხრივ მოიკოჭლებენ და მიტომ, უეჭველია, მათაც ხარჯის დაფარვა თავიანთი შემოსავალით გაუჭირდებათ.

ეს სტამბები, ასე თუ ისე, ეკუთვნიან ჩვენს სახელმწიფოს და შეადგენენ მის სიმდიდრეს, მაგრამ სიმდიდრეს, რომელიც დღეს-დღეობით დიდ ხარჯებს იწვევს. აუცილებლად საჭიროა, რომ ხსენებული სტამბები მოეწყოს ქართული სამუშაოების შესასრულებლათ, და მხოლოდ მაშინ შეეძლებათ ხარჯების დაფარვა და მომავალში შემოსავლის მოცემაც.

ერთი გარემოებაა კიდევ აღსანიშნავი: სამი ამ სტამბათაგანი ემსახურებოდა მთელს ამიერკავკასიას, დღეს კი უნდა ემსახუროს მარტო საქართველოს. ჩვენს სახელმწიფოს ამდენი და ასე დიდი სტამბები დღეს დღეობით არ ესაჭიროება, მათი შენახვა კი დიდ ხარჯებს მოითხოვს. ჩემის ფიქრით, შეიძლებოდა რომელიმე მათგანის სრულიად შეჩერება, დანარჩენის შესაფერად მოწყობა და შემდეგში, დრო გარემოების მიხედვით, მისი გახსნაც. თორემ დღეს ყველა სტამბების მოწყობა მეტად ძნელია და ვერც ერთს ვერ ექნება იმდენი სამუშაო, რომ ხარჯების დაფარვა შესძლოს. მთავრობა კი იძულებული იქნება სუბსიდია აძლიოს დაუსრულებლად.

**მეთვალყურე.**

## სომეხი ლტოლვილები ჩრდილო-კავკასიაში

„მშაკი“ გვატყობინებს, რომ ამიერ-კავკასიიდან რუსეთისკენ წასული სომეხი ლტოლვილების დიდი ნაწილი დასახლებულა სტავროპოლის და ყუბანის ოლქებში.

მათი ერთი ნაწილი დარჩენილა ზმეისკაია, ალექსანდროვსკაიას და გოსუდარსტვენნაის სტანიცებში.

ამ სტანიცებში ლტოლვილთა პირველ ჯგუფისთვინ მუციათ ადგილები იმ მიწის ფონდიდან, რომელიც ჩამოურთმევიათ ყოფილ მიწის მფლობელებისთვის.

სტავროპოლის გუბერნიის ვორონცოვო-ალექსანდროვსკაიას სტანიცაში დაუსახლებიათ 10,000 ლტოლვილი ყარსის და ალექსანდროპოლის ოლქებიდან გადასახლებულნი.

— როგორც გვატყობინებენ, თერგის მთავრობას განზრახვა აქვს შეჰქმნას განსაკუთრებული ორგანიზაცია, რომელიც უნდა დაეხმაროს ლტოლვილებს ჩრდილო-კავკასიაში.

## სომხეთის ამბები.

14 აგვისტოს ჰაიასტანის რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი ა. ჯამალიანი ნახეს შინაგან საქმეთა მინისტრ რამიშვილმა და გარეშე საქმეთა მინისტრის თანაშემწემ. საუბრის დროს ნ. ბ. რამიშვილმა, სხვათა შორის, შეატყობინა, რომ გერმანიაში მყოფი საქართველოს დელეგაცია დეპეშით იუწყება, რომ სტამბოლის კონფერენცია 10 დღის შემდეგ დაიწყებაო.

— სომხეთის მისსია იტყობინება, რომ მალე თბილისის და ერევანს შუა დაიწყება რეგულიარათ წასვლა-წამოსვლა ჰაეროპლანებით.

— როგორც გვაცნობებს „ორიზონი“, სომხურ სამხედრო კორპუსის უფროსის განკარგულებით 16 აგვისტოს სომხის ლაშქრის ყველა ნაწილები დათხოვნილი არიან; შემდეგ კი დაიწყება ახალი ჯარის მოწვევა ერთი დივიზიის შესადგენათ. დივიზია შესდგება 6 პოლკიდან და სხვა საჭირო სამხედრო ნაწილებისაგან.

# ჟურნალ-გაზეთებიდან.

### ნიკოლოზ II სიკვდილის განაჩენი.

ბოლშევიკურ გაზეთების ცნობით ყოფილ იმპერატორის ნიკოლოზ მეორის სიკვდილის განაჩენს ხელი მოაწერა ურალის ოლქის საბჭოთა თავმჯდომარემ, ლისვენსკის ქარხნის ზეინკალმა ბელობოროდოვმა.

### სიკვდილით დასჯის შემდეგ.

ნამეფარ ნიკოლოზ მეორის სიკვდილით დასჯის შესახებ „პოლონური გაზეთი“ შემდეგ დაწვრილებით ცნობებს იძლევა:—სიკვდილის დასჯის განაჩენი შუაღამისას მოიყვანეს სისრულეში, როცა მთელ ქალაქს ეძინა.

ყოფილ მეფის მოკვლის ამბავი ქალაქსა და მის მიდამოებს დილით მოედვა. ქალაქში გლეხთა ბრბოები შეცვივდა ყვირილით:—„მოგვეცით მეფე“-ო. სამხედრო კომისარმა ბრძანება გასცა, რომ ხალხისთვის სროლა აეტეხნათ. გამხეცებულმა ბრბომ კომისარი იქვე მოჰკლა და გვარდიელებს მისცვივდა; გვარდიელები გაიქცნენ.

### პურიშკევიჩის შეპყრობა.

მოსკოვიდან იუწყებიან, რომ იქ ხელ-ახლა შეიპყრეს პურიშკევიჩი.

## განცხადებები

საქართველოს რესპუბლიკის რკინის გზის სამხედრო ნაწილის მთავარი გზის კომიტეტის სასურსათო კომისია სადგ. სანაინის და შაგალის ბუფეტების და სავაჭრო კარვების მოიჯარდრეს დავით კალაძეს და აშაგასერალის—სერაფიონ ანთაძეს წინადადებას აძლევს განაახლონ ვაჭრობა და აფრთხილებს, რომ თუ ამ განცხადების გამოქვეყნებიდან ერთი კვირის განმავლობაში ისინი არ გამოცხადდებიან ხსენებულ სადგურებზე ან თფილისის სასურსათო კომისიაში, ბუფეტები და კარვები სხვას გადაეცემა. 2—2.

---

ავტომობილთა მთავარ სახელოსნოებში საჭირო არიან სხვა და სხვა ხელოსნები (ზეინკლები, ხარატები, ფრეზეროვჩიკები, მჭედლები, და სხვ). აგრეთვე მუშები. თხოვნები მიიღება სახელოსნო შენობაში, ჩერქეზოვის ქუჩა № 15 საქმისმწარმოებელთან, ყოველ-დღე 10 საათიდან 1 საათამდე. 2—1

---

დავკარგე თბილისის I კერძო ლომბარდის ბილეთი № 69242, 28 მან. 3—1

---

ვასწავლი ფრანგულსა და ნემეცურ ენებს. თუ ოთახი დამეთმობა უფასოთ. ამაღლების ქ. № 8. იკითხეთ სათნოების და. დილის 10 საათიდან 12-სათამდე საღამოს 8—9 საათამდე.

---

თბილისის მეორე განყოფილების მომრიგებელი მოსამართლე, ამით აცხადებს, რომ მის კამერაში უნდა გამოცხადდენ გარდაცვალებულ ტიგრან სვიმონის ძე ასატუროვის მემკვიდრენი, რათა აღიარონ უფლება ასატუროვის უძრავ და მოძრავ ქონებაზე. თუ დღიდან განცხადებისა ექვსის თვის განმავლობაში მემკვიდრენი არ გამოცხადდებიან, მემკვიდრეობის უფლებას ჰკარგავენ.

---

ექიმი დოქტორი მედიცინისა

**გ. ნ. აქსელოს**

ლეჩულობს ვენერიული სენით შეპყრობილ ავათმყოფებს. უკეთებს სისხლს ანალიზს პროფ. კლაუზნერის მეთოდით. ავათაყოფები მიიღება დილის 9—12 ს-დე, საღამოს 6—8 ს-დე. პუშკინის ქ. „დვორცოვის ნომრები“ № 3. 6—1

---

ყველასათვის საჭირო და სასარგებლო წიგნი

(25 წლის ნაშრომი)

## = უცხო სიტყვათა ლექსიკონი =

მეორე შევსებულ-შესწორებული გამოცემა, აწყობილია უშპონოდ (მჭიდროდ), კორპუსით, დაბეჭდილია კარგს ქაღალდზე, შეიცავს 1,100 გვ., განმარტავს ყოველგვარ უცხო სიტყვას და ანდაზა-წინადადებათ. ფასი: ხელის მომწერთათვის მშვენიერი კალენკორის ოქროს ვარაყიან ასოან ყდით 20 მან., უყდო—15 მან, (წინად შემოტანილის გამორიცხვით), არა ხელის მომწერთათვის—ყდით 30 მან., უყდოთ—25 მან. ფოსტის ხარჯი—2 მან. (ვინც პირდაპირ „თეატრი და ცხოვრ.“ რედაქციაში შეიძენს—ეს ხარჯი აღარ გადახდება. წიგნის გაწერა შეიძლება: თბილისი, ბაზრის ქ. № 20, ალექსანდრეს ბაღის გვერდით, რედაქცია „თეატრი და ცხოვრება“-ს რედ. იოსებ იმედაშვილს.

5-3

რედაქტორი პ. დ. საყვარელიძე.

სტამბა საქართველოს მთავრობისა.